



ადიგენის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტი 2024-2027 წლები

თავი I. ზოგადი ინფორმაცია ადიგენის მუნიციპალიტეტის შესახებ

ისტორია

ადიგენის მუნიციპალიტეტი სამხრეთ საქართველოს ისტორიული სამცხის შემადგენლობაში შედიოდა ამ მხარის მმართველები იყვნენ მთავრები - ხურციძეები, რომელთა სამთავრო ცენტრად ითვლებოდა ჩორჩანი. შუა საუკუნეებში იმ დროინდელი მოსახლეობა გადააგვარა და თითქმის გააქრო ოსმალეთის იმპერიის რამოდენიმე საუკუნოვანმა ბატონობამ. სამხრეთ საქართველოში ოსმალთა ბატონობის პერიოდში ადიგენის ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ მკვიდრი ქართველი კათოლიკე-ქრისტიანები და გამაჰმადიანებული ქართველები, რომლებიც იმ დროისთვის მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენდნენ, აგრეთვე ჩამოსახლებული მაჰმადიანები (ოსმალები, ქურთები, და ა.შ.).

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ადიგენის მუნიციპალიტეტში დასავლეთ საქართველოს მაღალმთიანი რაიონებიდან ჩამოსახლებული იქნა ქართველები, რაც შეეხება სომეხ და სხვა ეროვნების მქონე მოქალაქეებს რაიონის ტერიტორიაზე მიგრირებული არიან მეფის რუსეთის მმართველობის ასევე საბჭოთა კავშირის არსებობის დროს.

ადიგენის რაიონი 1917 წლამდე შედიოდა ტბილისის გუბერნიის ახალციხის მაზრაში, 1917-1930 წლებში ახალციხის მაზრაში, 1930 წლიდან კი ცალკე რაიონია. ადიგენს დაბის სტატუსი მიენიჭა 1961 წელს.

მდებარეობა

ადიგენის მუნიციპალიტეტის როგორც ადმინისტრაციულ- ტერიტორიული ერთეული შედის სამცხე-ჯავახეთის მხარეში. იგი ახალციხის ქვაბულის დასავლეთ ნაწილში მდებარეობს. ჩრდილოეთ ნაწილი უჭირავს მესხეთის ქედის, ხოლო დასავლეთი არსიანის ქედის ფერდობებს.

ფართობი

მუნიციპალიტეტის ფართობი მთლიანი ქვეყნის ფართობის (69 700 კვ. კმ) 1,1%-ს, ხოლო სამცხე- ჯავახეთის რეგიონის 12,5%-ს შედაგენს შესაბამისად მუნიციპალიტეტის ტერიტორია- 799კვ.კმ-ია მათ შორის სასოფლო სამეურნეო სავარგულები 340 კვ.კმ

გეოგრაფია

ადიგენის მუნიციპალიტეტს დასავლეთით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, ჩრდილოეთით - ჩოხატაურის, ვანის და ბაღდადის რაიონები, აღმოსავლეთით - ახალციხის რაიონი, ხოლო სამხრეთით თურქეთის რესპუბლიკა ესაზღვრება. გოდერძის უღელტეხილით რაიონი უკავშირდება ქალაქ ბათუმს (140 კმ), ხოლო ზეკარის უღელტეხილით ქ. ქუთაისს (100კმ). ქ. თბილისამდე მანძილი 235 კმ-ია.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დასავლეთ ნაწილში გავრცელებულია ქსეროფიტული მცენარეულობა, რომელსაც გორაკ-ბორცვიან ზონაში მუხნარი ცვლის.მთის ფერდობები მეტწილად დაფარულია ტყით, ქვედა სარტყელში განვითარებულია შერეული ტყე, სადაც მუხა და რცხილა სჭარბობს, უფრო ზევით გავრცელებულია წიწვოვანი ჯიშის ფიჭვები,სოჭი, ნაძვი.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიას დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ კვეთს მდინარე ქვაბლიანი, რომლის შენაკადების: ოცხე, ლაღვი, ძინძე. მუნიციპალიტეტში რამოდენიმე პატარა ტბაა: შავი ტბა, კოტატბა, თლილი, წყისი, და სხვა.

მოსახლეობა

ადიგენის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა 2017 წლის მდგომარეობით 16,5 ათასი კაცია. სიმჭიდროვე 21 კაცი კვადრატულ კილომეტრზე. მუნიციპალიტეტში 57 დასახლებული პუნქტია მათ შორის ორი ურბანული დასახლება დაბა აბასთუმანი და დაბა ადიგენი და 55 სოფელი, რომელიც გაერთიანებულია 21 ტერიტორიულ ერთეულში.

2017 წლის მდგომარეობით მუნიციპალიტეტში დასახლებული 16,5 ათასი მოსახლიდან 8,2 ათასი მამაკაცია, ხოლო 8,2 ქალბატონი. მათ შორის დაბებში რეგისტრირებულია 1,7 ათასი პირი, მათ შორის 0,8 ათასი მამაკაცი და 0,9 ათასი ქალბატონი; ხოლო სოფლად რეგისტრირებულია 14.7 ათასი პირი მათ შორის: 7,4 ათასი მამაკაცი ხოლო 7,3 ათასი ქალბატონი.

მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულია 1,1 ათასი 5 წლამდე ბავშვი; 3,0 ათასი 5-18 წლამდე მოზარდი; 3,7 ათასი პენსიონერი; მაღალმთიან დასახლებაში მცხოვრებ პირთა სტატუსით სარგებლობს 9,8 ათასი მოსახლე.

ადიგენის მუნიციპალიტეტის მონაცემების შედარება ქვეყნისა და რეგიონის მონაცემებთან 2018 წლის მონაცემების მიხედვით		
დასახლება	მოსახლეობა	ფართობი (კვ.კმ)
სულ საქართველო	3 713 804	69 700
სამცხე-ჯავახეთის რეგიონი	160 969	6 413

ადიგენის მუნიციპალიტეტი	16 100	799
პროცენტი საქართველოსთან	0.43	1.15
პროცენტი რეგიონთან	10.0	12.5

ეკონომიკა

ადიგენის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ეკონომიკა ძირითადად წარმოდგენილია სოფლის მეურნეობის, მომსახურების და ვაჭრობის სფეროებით. აქედან ბრუნვისა და შემოსავლების გათვალისწინებით ყველაზე იმედისმომცემ და განვითარებად მიმართულებებსად სოფლის მეურნეობის სექტორები მიიჩნევა.

ადიგენის მუნიციპალიტეტს ეკუთვნის კურორტი აბასთუმანი, რომელიც ცნობილია როგორც კლიმატურბალნეოლოგიური კურორტი, რომლის კლიმატი საუკეთესო საშუალებაა ფილტვების დაავადებათა პროფილაქტიკისათვის. განსაკუთრებით სასარგებლოა გაზაფხულის სეზონი, როდესაც ფიჭვი დამტვერვას იწყებს. აბასთუმანი განთქმულია ჰიპერთერმული, სუსტად მინერალიზებული წყაროებით (წყარო ზმეა 39°C, მეფის წყარო - 42°C; სურავანდი წყარო 42°C), რომლთა საერთო დებეტია 1 მლნ ლიტრი დღე-ღამეში. მინერალური წყლები არაერთი დაავადების სამკურნალოდ გამოიყენება. აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორია მთა ყანობილზე. ზ. დ. 1650 მ, აბასთუმნიდან 8 კმ-ში. დაარსდა 1932 წელს. ის პირველი სამთო ასტროფიზიკური ობსერვატორია იყო ყოფილ საბჭოთა კავშირში. ყოველივე ზემოთ აღნიშნული ხელს უწყობს ტურიზმის განვითარებას.

ადიგენის მუნიციპალიტეტი მდიდარია წყლის რესურსით. წყლის მთლიანი რესურსი წარმოდგენილია ტბებით, წყალსაცავებით, მდინარეებითა და მიწისქვეშა გრუნტის წყლებით. დაბა აბასთუმანში არის ბუნებრივი გოგირდოვანი თბილი წყლების დიდი მარაგი, ასევე მუნიციპალიტეტში მოიპოვება მინერალური წყალი „ფლატი“, სასარგებლო წიაღისეულიდან მნიშვნელოვანია ფლატის, ლავის მინერალური წყლები, აბასთუმნის და ჩორჩნის

თერმული წყლები. ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ კახარეთში ფუნქციონირებს „კახარეთჰესი“ რომელიც გამოიმუშავებს 2-მეგავატ ელექტროენერგიას.,

ღირდშესანიშნაობები

ადიგენის მუნიციპალიტეტი მდიდარია სხვადასხვა ისტორიული და კულტურული ღირსშესანიშნაობებით. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 88 ისტორიული ძეგლია აღრიცხული. მათ შორისაა მართლმადიდებლური და კათოლიკური ეკლესიები, ციხე-კოშკები. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ძეგლებია: ზარზმის მონასტერი, იჯარეთის მონასტერი, ჭულე, ოქროსციხე, ზანავის ციხე, ოძრხე. ბუნების ძეგლებია გოდერძის გაქვავებული ტყე და ბენარის ფაუნა.

ბიუჯეტი

ადიგენის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტი 17,6 მლნ ლარია, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობებიდან 12,1 მლნ ლარი მუნიციპალიტეტის საკუთარი შემოსულობებია მათ შორის უდიდესი ნაწილი დამატებული ღირებულების გადასახადს უკავია 8,8 მლნ ლარი. არასაკუთარი შემოსავლები ძირითდად შედგება სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერისგან, რომელიც მუნიციპალიტეტს ყოველწლიურად გამოეყოფა ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად.

თავი II ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

2.1 შემოსავლების და ხარჯების აგრეგირებული მაჩვენებელი

ადიგენის მუნიციპალიტეტის 2022-2027 წლის შემოსავლებისა და ხარჯების საპროგნოზო აგრეგირებული

მაჩვენებლების განისაზღვრა შემდეგნაირად:

ბიუჯეტის ძირითდი მაჩვენებლები

დასახელება	2022 წლის ფაქტი	2023 წლის ბეგმა	2024 წლის პროგნოზი	2025 წლის პროგნოზი	2026 წლის პროგნოზი	2027 წლის პროგნოზი
შემოსავლები	17 002,2	19 815,6	16 396,0	17 636,3	18 831,7	20 139,9
გადასახადები	10 496,3	12 552,8	15 317,9	16 558,2	17 753,6	19 061,8
გრანტები	5 664,7	6 435,6	178,1	178,1	178,1	178,1
მ.შ. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები გრანტები	5 664,7	6 435,6	178,1	178,1	178,1	178,1
სხვა შემოსავლები	841,3	827,2	900,0	900,0	900,0	900,0
ხარჯები	8 537,7	10 147,2	10 121,4	10 753,9	13 602,6	14 651,1
შრომის ანაზღაურება	2 059,7	2 406,2	2 924,9	3 210,6	3 523,7	3 876,2
საქონელი და მომსახურება	2 388,8	2 607,7	1 963,0	2 131,8	2 178,3	2 241,7
ძირითადი კაპიტალის მომსახურება	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
პროცენტი	27,5	16,5	21,0	6,3	1,3	0,0
სუბსიდიები	2 443,5	3 320,2	3 843,3	4 121,8	6 515,9	7 149,8
გრანტები	128,0	158,0	158,0	158,0	158,0	158,0
სოციალური უზრუნველყოფა	578,9	567,8	643,7	628,7	678,7	678,7
სხვა ხარჯები	911,3	1 070,8	567,4	496,7	546,7	546,7

საოპერაციო სალდო	8 464,6	9 668.4	6 274.6	6 882.4	5 229.1	5 488.8
არაფინანსური აქტივების ცვლილება	8 423,0	12 910.2	6 219.0	6 826.8	5 201.3	5 488.8
ზრდა	9 050,3	13 250.6	6 219.0	6 826.8	5 201.3	5 488.8
კლება	627,2	340,4	0,0	0,0	0,0	0,0
მთლიანი სალდო	41,5	-3 241,7	55,6	55,6	27,8	0,0
ფინანსური აქტივების ცვლილება	-14,1	- 3 297,3	0,0	0,0	0,0	0,0
ზრდა	148,3	0,0				
კლება	162,4	3 297,3				
ვალდებულებების ცვლილება	-55,6	-55,6				
ზრდა	0,0					
საგარეო	0,0					
საშინაო	0,0					
კლება	55,6	55,6				
საგარეო	0,0					
საშინაო	55,6	55,6				
ბალანსი	0,0	0,0				

მუნიციპალიტეტის 2023 წლის 1 იანვრისთვის გადმოშვებული ნაშთი 3 313,2 ათასი ლარია,

2.2 ადიგენის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები

დასახელება	2022 ფაქტი	2023 გეგმა	2024 პროექტი	2025 პროგნოზი	2026 პროგნოზი	2027 პროგნოზი
შემოსულობები სულ	17 629,5	20 156.0	16 396.0	17 636.3	18 831.7	20 139.9
შემოსავლები	17 002,2	19 815.6	16 396.0	17 536.3	18 731.7	20 039.9
გადასახადები	10 496,3	12 552.8	15 317.9	16 558.2	17 753.6	19 061.8
დამატებული ღირებულების გადასახადი	8 779,5	10 852.8	13 517.9	14 758.2	15 953.6	17 261.8
ქონების გადასახადი	1 716,8	1 700.0	1 800.0	1 800.0	1 800.0	1 800.0
გრანტები	5 664,7	6 435.6	178.1	178.1	178.1	178.1
საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები	0,0	0.0	0.0	0.0	0.0	0.
გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან	5 664,7	6 232.9	178.1	178.1	178.1	178.1
მიზნობრივი ტრანსფერი	160,0	245.0	178.1	178.1	178.1	178.1
კაპიტალური და სპეციალური ტრანსფერები	5 504,7	5 987.9	0.0	0.0	0.0	0.0
სხვა შემოსავლები	841,3	827.2	900	900.0	900.0	900.0
არაფინანსური აქტივების კლება	627,2	340.4	0.0	0.0	0.0	0.0

წარმოდგენილი პროგნოზებით ადიგენის მუნიციპალიტეტის შემოსულობების მაჩვენებელი 2024 წელს მიმდინარე წელთან შედარებით მცირდება, ხოლო შემდგომ 2025-2027 წლებში სტაბილურად იზარზუნებს ზრდის ტენდენციას. 2024 წელს შესაძლებელია კაპიტალური ტრანსფერის მოცულობა (რომლის დაგეგმვა ცილდება მუნიციპალიტეტის კომპეტენციას) განისაზღვროს თუნდაც მიმდინარე წლის დონეზე, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს 2024 და შემდგომი წლების ბიუჯეტის შემოსულობების მაჩვენებლებს. მანამდე კი ხარჯების საშუალოვადიან პერიოდში დაგეგმისათვის მიზანშეწონილია გამოყენებული იქნას წარმოდგენილი პარამეტრები.

საანგარიშო 2022-2027 წლების პერიოდში ადიგენის მუნიციპალიტეტის შემოსავლების სტრუქტურის განხილვისას პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს საბიუჯეტო სისტემაში 2019 წლის 1 იანვრიდან განხორციელდა მნიშვნელოვანი ცვლილება, რომელმაც დიდი გავლენა იქონია მუნიციპალიტეტის შემოსავლების ფორმირებაზე. კერძოდ:

დეცენტრალიზაციის სტრატეგიის ფარგლებში განხორციელდა ცვლილებები საბიუჯეტო კოდექსისა და ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში, რომლის მიხედვითაც შეიცვალა მუნიციპალიტეტების დაფინანსების სისტემა, კერძოდ, მუნიციპალიტეტების აღარ მიეცემათ გათანაბრებითი ტრანსფერი, ასევე საშემოსავლო გადასახადის სხვადასხვა სახეებიდან მუნიციპალურ ბიუჯეტებში ჩარიცხული შემოსავლები მთლიანად მიიმართება სახელმწიფო ბიუჯეტში. აღნიშნულის სანაცვლოდ მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებში ჩაირიცხება ქვეყნის მასშტაბით მობილიზებული დამატებითი ღირებულების გადასახადის 19,0%, ადიგენის მუნიციპალიტეტის შემოსულობებში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს დამატებითი ღირებულების გადასახადიდან მიღებულ შემოსავლებს. მისი მოცულობა 2024 წელს მთლიანი შემოსავლების 83%-ია (13 517.9 ათასი ლარი), ხოლო დღეს არსებული პროგნოზებით 2027 წლისათვის იგი მთლიანი შემოსავლების 86,0% იქნება და 17 261.8 ათას ლარს მიაღწევს.

საანგარიშო პერიოდში, ადიგენის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში, ქონების გადასახადიდან მისაღები თანხების პროგნოზი უცვლელია და იგი გასული წლებთან შედარებით გაზრდილია მისი მოცულობა 2024-2027 წლებში განისაზღვრება 1,8 მლნ ლარით. ქონების გადასახადი ფორმირების ძირითადი წყაროა საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) გადახდილი თანხები.

ადიგენის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლების ფორმირების ძირითადი წყაროა ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მოსაკრებელი.

როგორც ზემოთაც ავღნიშნეთ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლებში დიდი წილი უჭირავს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილ კაპიტალურ ტრანსფერებს.

2.3 ადიგენის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელები

პრიორიტეტის დასახელება		2022 წლის ფაქტი	2023 წლის გეგმა	2024 წელი	2025 წელი	2026 წელი	2028 წელი
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	3 775,7	5 000,2	5 546.1	4 978.0	5 284.8	5 396.6
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	9 824,6	12 471.7	5 544.4	7 140.4	5 809.9	6 247.0
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	705,0	1 005,1	1 074.6	1 128.7	3 241.0	3 565.2
04 00	განათლება	1 225,6	1 694.2	1 379,3	1 473.2	1 620.5	1 782.6
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	1 419,1	2 596,0	2 034.7	2 099.2	2 008.7	2 036.7
06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	693,5	686,1	816.8	816.8	866.8	866.8
გადასახდელები სულ		17 643,5	23 453.4	16 396,0	17 636.3	18 831.7	20 139.9

2.4 ადიგენის მუნიციპალიტეტის 2022-2027 წლის ბიუჯეტების მიმოხილვა

2022წლის ბიუჯეტის შესრულების ანალიზი:

ადიგენის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტი დამტკიცდა საკრებულოს 2021 წლის 23 დეკემბრის №28 დადგენილებით და განისაზღვრა 9 538,5 ათასი ლარის ოდენობით.

შემდგომ, საფინანსო წლის განმავლობაში დამტკიცებულ ბიუჯეტში შეტანილ იქნა ცვლილებები საკრებულოს ნორმატიული აქტებით, რაც ეხებოდა: გრანტების სახით გამოყოფილი თანხების, წლის დასაწყისში არსებულ ვალდებულებათა ქვეშ მყოფი და თავისუფალი თანხების ბიუჯეტში ასახვას.

განხორციელებული ცვლილებების შედეგად წლის ბოლოსათვის ბიუჯეტის დაზუსტებულმა მოცულობამ მთლიანობაში შეადგინა 17 320,9 ათასი ლარი.

ადიგენის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შემოსულობების (შემოსავლები, არაფინანსური აქტივები, ფინანსური აქტივები, ვალდებულებების ზრდა) გეგმა განისაზღვრა 17 320,9 ათასი ლარით, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 17 629,5 ათასი ლარი, ანუ გეგმის 102.7%.

მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული შემოსავლების (გადასახადები, გრანტები, სხვა შემოსავლები) გეგმა 16 700.3 ათასი ლარი, ფაქტიურად 17 002.2 ათასი ლარით შესრულდა, რამაც გეგმის 101.8% და მთლიანი შემოსულობების - 96.4% შეადგინა.

ქონების გადასახადიდან საანგარიშო პერიოდში მიღებულია 1 716.8 ათასი ლარი, მათ შორის: საწარმოთა ქონების გადასახადიდან (გარდა მიწისა) მიღებულია 167.1 ათასი ლარი, ფიზიკურ პირთა ქონებაზე გადასახადიდან (გარდა მიწისა) – 1 716.8 ათასი ლარი, ხოლო მიწის გადასახადიდან - 134.0 ათასი ლარი. წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (2021 წლის ფაქტი – 1 081.2 ათასი ლარი) შედარებით 635.6 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული, რაც ძირითადად საწარმოთა ქონების გადასახადზე (გარდა მიწისა) მოდის.

დამატებული ღირებულების გადასახადიდან მიღებულია 8 779.5 ათასი ლარი. წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (2021 წლის ფაქტი - 6 409.4 ათასი ლარი) შედარებით 2 370.1 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული.

2022 წლის 1 იანვრისათვის მუნიციპალიტეტის ანგარიშზე არსებული ნაშთი იყო- 3 326.7 ათასი ლარი.

ადიგენის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 2022 წლის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში

საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაზე 2022 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო 4 205,9 ათასი ლარი, გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 3 649,1 ათასი ლარი რაც გეგმის 86,8%. ამ მუხლში გაერთიანებულია წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების ხარჯები, რომელიც მოიცავს ადგილობრივ თვითმმართველობას მერიასა და საკრებულოს, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა რომელიც თავის მხრივ მოიცავს სარეზერვო ფონდის გეგმას, წინა წლების დავალიანების დაფარვისა და სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების ფონდს.

თავდაცვა მოიცავს ადგილობრივი სამხედრო აღრიცხვის გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის დაფინანსებას 2022 წლის გეგმით განსაზღვრული იყო 132,1 ათასი ლარი ფაქტიურმა საკასო ხარჯმა შეადგინა 126,6 ათასი ლარი ანუ გეგმის 95,9%.

ეკონომიკური საქმიანობისათვის დაგეგმილი იყო 2022 წლის ბიუჯეტით 10 826,6 ათასი ლარი საკასო ხარჯმა შეადგინა 8 907,9 ათასი ლარი რაც გეგმის 82,3%- ია. აღნიშნული სფერო მოიცავს საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია კაპიტალურ მშენებლობას, გზების მოვლა პატრონობას, სხვადასხვა მცირედი ინფრასტრუქტურულ პროექტებს, საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების შეკეთება- რეაბილიტაციას, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციისა და საკადასტრო აზომვითი ნახაზების შედგენის, საექსპერტო მომსახურების და საპროექტო დოკუმენტაციის და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობას, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელ პროექტებს.

საბინაო კომუნალური მეურნეობაზე გამოყოფილი სახსრების გეგმა 2022 წელს 1 052,9 ათასი ლარია, ფაქტიური საკასო ხარჯი კი 899,9 ათასი ლარი ანუ გეგმის 85,5%. თავის მხრივ სფერო მოიცავს წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციას, გარე განათების ქსელების მოვლა პატრონობას და ახალი ქსელების დამატებას.

ჯანმრთელობის დაცვა აღნიშნული სფეროს გეგმა 92,2 ათასი ლარია ხოლო ფაქტიური საკასო ხარჯი 90,3 ათასი ლარი ანუ გეგმის 97,9%. რომელიც მოიცავს ა(ა)იპ ადიგენის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრის დაფინანსებას.

დასვენება კულტურა და რელიგია 2022 წლის გეგმით განსაზღვრული იყო 1 490,7 ათასი ლარი ფაქტიურმა საკასო შესრულებამ შეადგინა 1 404,1 ათასი ლარი რაც გეგმის 94.2%-ია. აღნიშნულ სფეროში გაერთიანებულია ა(ა)იპ ადიგენის სასპორტო სკოლის დაფინანსება, ა(ა)იპ ადიგენის მთავარი ბიბლიოთეკის დაფინანსება. ა(ა)იპ ადიგენის კულტურის ცენტრის დაფინანსება, ა(ა)იპ ადიგენის სამუსიკო სკოლის დაფინანსება. აგრეთვე მუნიციპალიტეტის სხვადასხვა კულტურული ღონისძიებების დაფინანსება.

განათლება აღნიშნული სფეროს გეგმა განსაზღვრული იყო 1 320,7 ათასი ლარით ფაქტიურად საკასო ხარჯმა შეადგინა 1 225,6 ათასი ლარი რაც გეგმის 92,8%-ია. აღნიშნული სფერო მოიცავს ა(ა)იპ ადიგენის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების დაფინანსებას. საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირებით უზრუნველყოფა. საჯარო სკოლების მცირედი სარეაბილიტაციო სამუშაოები.

სოციალური დაცვა დაგეგმილი იყო 638,0 ათასი ლარი ფაქტიურად გახარჯული იქნა 603,2 ათასი ლარი რაც გეგმის 94,6%-ია. აღნიშნული სფერო მოიცავს ავადმყოფთა სოციალურ დაცვას, შესწავლადული შესაძლებლობების პირთა სოციალურ დაცვას, ახალშობილთა და მრავალშვილიანთა სოციალურ დაცვას.

შესრულება ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2022 წლის გეგმა	2022 წლის ფაქტი	პროცენტი
7.1	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	4 205,9	3 649,1	86,8
7.1.1	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	4 122,8	3 565,9	86,5
7.1.1.1	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	4 009,6	3 565,9	88,9

7.1.1.2	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	0,0	0,0	0,0
7.1.6	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	83,1	83,1	100,0
7.2	თავდაცვა	132,1	126,6	95,9
7.2.2	სამოქალაქო თავდაცვა	132,1	126,6	95,9
7.4	ეკონომიკური საქმიანობა	10 826,6	8 907,9	82,3
7.4 2	სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა	0,0	0,0	0,0
7.4 2 1	სოფლის მეურნეობა	0,0	0,0	0,0
7.4 5	ტრანსპორტი	6 842,1	5 848,4	85,5
7.4 5 1	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	6 842,1	5 848,4	85,5
7.4 5 5	მილსადენები და სხვა სახის სატრანსპორტო საშუალებები	0,0	0,0	0,0
7.5	გარემოს დაცვა	771,6	736,7	95,5
7.5 1	ნარჩენების შეგროვება გადამუშავება და განადგურება	739,0	705,0	95,4
7.5 2	ჩამდინარე წყლების მართვა	24,5	23,8	97,2
7.6	საბინაო კომუნალური მეურნეობა	1 052,9	899,9	85,5
7.6 1	ბინათმშენებლობა	0,0	0,0	0,0
7.6 2	კომუნალური მეურნეობის განვითარება	0,0	0,0	0,0
7.6 3	წყალმომარაგება	607,8	520,2	85,6
7.6 4	გარე განათება	445,1	379,7	85,3
7.6 6	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო კომუნალურ მეურნეობაში	0,0	0,0	0,0
7.7	ჯანმრთელობის დაცვა	92,2	90,3	97,9
7.7 4	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	92,2	90,3	97,9
7.8	დასვენება, კულტურა და რელიგია	1 490,7	1 404,1	94,2
7.8 1	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	244,5	243,1	99,4
7.8 2	მომსახურება კულტურის სფეროში	289,8	286,4	98,8
7.8 4	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასვენება, კულტურა და რელიგიის სფეროში	956,4	874,6	91,5
7.9	განათლება	1 320,7	1 225,6	92,8

7.9 1	სკოლამდელი აღზრდა	943,5	933,5	98,9
7.9 2	ზოგადი განათლება	0,0	0,0	0,0
7.9 2 2	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	377,2	292,1	77,4
7 10	სოციალური დაცვა	638,0	603,2	94,6
7 10 1	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვა	441,9	434,2	98,3
7 10 2	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	0,0	0,0	0,0
7 10 4	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	53,8	49,3	152,5
7 10 7	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას	0,0	0,0	0,0
7 10 9	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	117,8	96,8	82,2
	სულ	20 530,6	17 643,5	85,9

2022 წლის ბიუჯეტის ასიგნებები პრიორიტეტების მიხედვით:

1) **მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები (ორგანიზაციული კოდი 01 00)**

საანგარიშო წელს მართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯებმა 3 775,7 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმიური მაჩვენებლის (4 338,0 ათასი ლარი) 87 პროცენტია.

აღნიშნული პროგრამით დაფინანსდა შემდეგი მიმართულებები: 1. მმართველობითი ხარჯი: მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქმიანობა - 997,2 ათასი ლარი, მუნიციპალიტეტის მერია - 2 568,8 ათასი ლარი, სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური (დელეგირებული ფუნქცია) – 126,6 ათასი ლარი (მიზნობრივი

ტრანსფერით დაფინანსდა 73,3 ათასი ლარი) 2. საერთო დანიშნულების ხარჯი: სარეზერვო ფონდიდან (გეგმა-195,0 ათასი ლარი) მერის გადაწყვეტილებით გამოყოფილია 81,9 ათასი ლარი. მათ შორის:

სსიპ მუნიციპალური განვითარების ფონდიდან აღებული სესხის მომსახურებაზე გაიწია 83,1 ათასი ლარი, მათ შორის ძირითადი ვალდებულება შემცირდა 55.6 ათასი ლარით, მომსახურების პროცენტმა შეადგინა 27,5 ათასი ლარი.

2) ინფრასტრუქტურის განვითარება (ორგანიზაციული კოდი 02 00)

ინფრასტრუქტურის განვითარება საანგარიშო პერიოდში სულ დაფინანსდა 9 824,6 ათასი ლარით, რაც გეგმის 82,6 პროცენტია. თანხები გადანაწილდა შემდეგი მიმართულებით:

1. ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 02 00)

მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდა გზების მშენებლობა, რეკონსტრუქცია და მოვლა-შენახვა, წყალმომარაგების ქსელების რეაბილიტაციის სამუშაოები, გატარდა კეთილმოწყობის ღონისძიებები. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდა არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდა მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

ა) საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა შენახვა (პროგრამული კოდი 02 01)

პროგრამის გეგმა განისაზღვრა 6 842,1 ათასი ლარის ოდენობით ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა - 5 848,4 ათასი ლარი ანუ გეგმის 85,5%;

ქვეპროგრამის ფარგლებში დაიგო სრულად 10504 გრ.მ გზის საფარი მათ შორის 7700 გრ.მ ბეტონის საფარი და 2804 გრ.მ ასფალტსაფარიანი გზა; პროექტის ფარგლებში მოეწყო გზებზე რკინა ბეტონის წყალმიმღების ჭები; პროექტის ფარგლებში მოეწყო ჯამში 106 გრ.მ გაბიონის კედელი

ბიუჯეტიდან დაფინანსდა შემდეგი პროექტები:

ს.უდემი „ზაზათუბნის“ საუბნო გზების რეაბილიტაცია (მეორე მონაკვეთი) - პროექტის ფარგლებში დაიგო 1378 გრ.მ რკინა ბეტონის გზის საფარი, თავისი შეერთებებით, რკინა-ბეტონის ცხაურებით, ეზოებში შესასვლელებით, მილხიდებით, სანიაღვრე არხებით.

მლაშისა და მოხის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია - პროექტის ფარგლებში დაიგო 350 გრ. მ ასფალტის გზის საფარი, მოეწყო რკინა ბეტონის ახალი მილხიდი ზომით 6x2.5მ;

საირმე-ჭელის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია (II ეტაპი) - პროექტის ფარგლებში ჯამში მოეწყო 1290 გრ.მ ასფალტის საფარიანი გზა, მილხიდებით, სანიაღვრე არხებით, ეზოში შესასვლელებით.

ს.შოლავერში შიდა საუბნო გზის რეაბილიტაცია - პროექტის ფარგლებში მოეწყო საერთო ჯამში 837 გრ.მ რკინაბეტონის გზის საფარი.

სოფ. დიდ სმდაში სასაფლაომდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია - პროექტის ფარგლებში მოეწყო 880 გრ.მ რკინა ბეტონის გზის საფარი მოეწყო 30 გრ.მ ბეტონის კედელი, აგრეთვე მოხდა მიერთებები სანიაღვრე არხების და ეზოში შესასვლელების მოწყობა;

სოფელ ზემო ენთელში შიდა საუბნო გზაზე ბეტონის გზის მოწყობის სამუშაოები - პროექტის ფარგლებში მოეწყო 217 გრ.მ რკინა ბეტონის გზის საფარი.

ს. ბოლაჯურში „მინმიბამეების,, უბნის მიმართულებით შიდა საუბნო გზების რეაბილიტაციის (გზა N2) - პროექტი ფარგლებში მოეწყო 534 გრ.მ რკინა ბეტონის გზის საფარი;

ს.ჩორჩნის საუბნო გზის რეაბილიტაცია (II-III) - პროექტის ფარგლებში მოეწყო 495 გრ.მ ასფალტს საფარიანი გზა;

ს. ბოლაჯურში შიდა საუბნო გზაზე ბეტონის საფარის მოწყობა - პროექტის ფარგლებში მოეწყო 427 გრ.მ ბეტონის საფარი;

ს.უდემი „ხანდაკას“ საუბნო გზების რეაბილიტაცია - პროექტის ფარგლებში დაიგო 788 გრ.მ ბეტონის საფარიანი გზა რკინა ბეტონის საყრდენი კედლებით;

ს.აბასთუმნის შიდა საუბნო გზების რეაბილიტაცია - პროექტის ფარგლებში დაიგო 994 გრ.მ ასფალტის საფარიანი გზა და 669 გრ.მ რკინა ბეტონის საფარიანი გზა;

დ. ადიგენში თ.ერისთავის ქუჩის ტროტუარის მოწყობა - პროექტის ფარგლებში დაბა ადიგენში მოხდა 662 გრ.მ - ზე ტერიტორიის კეთილმოწყობა, კერძოდ დაიგო ტროტუარი ბეტონის ფილებიტ 1082კვ.მ დამონტაჟდა ლითონის კონსტრუქციის მოაჯირები; მოეწყო ბეტონის ბორდიურები 702მ, მოეწყო რკინა ბეტონის ავტოსადგმის საერთო ფართი 500 კვ.მ;

თამარ მეფის ქუჩაზე გზის მიმდებარედ არსებული სანიაღვრე არხის რეაბილიტაცია - პროექტის ფარგლებში მოხდა რკინა ბეტონის წყალმიმღების და რკინა ბეტონის ჭების მოწყობა, აგრეთვე მოხდა 58 გრ.მ არსებული დ-800მმ რკინის მიღების მონტაჟი;

ვაჟა ფშაველას ქუჩაზე გზის მიმდებარედ არსებული სანიაღვრე არხის რეაბილიტაცია - პროექტის ფარგლებში მოეწყო რკინა ბეტონის წყალმიმღების ჭა 5 ცალი, დამონტაჟდა დ-500მმ ფოლადის არსებული მილები 100გრ.მ გზის გადაკვეთაზე მოეწყო დაზიანებული ასფალტ-ბეტონის ახალი საფარი 22კვ.მ;

ბოლაჯურში სკოლის მიმართულებით შიდა საუბნო გზის რეაბილიტაცია - პროექტის ფარგლებში დაიგო 945 მ რკინა ბეტონის გზის საფარი სანიაღვრე არხებით, საყრდენი კედლებით, ეზოში შესასვლელებით;

ჭულევის მონასტრის გზის საყრდენი კედელის მოწყობის სამუშაოები - პროექტის ფარგლებში მოეწყო ჯამში 106 გრ.მ გაბიონის კედელი საშუალო სიმაღლით 2მ;

ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ წახნის შიდა საუბნო გზის რეაბილიტაცია - პროექტის ფარგლებში მოეწყო 700გრ.მ ბეონის გზის საფარი;

ს. წარბასთუმანში არსებული სანიაღვრე არხის გაგრძელების სამუშაოები - მოეწყო რკინა ბეტონის რგოლებით დ-1000მმ 9 ცალი ჭა, მოხდა მილსადენის მოწყობა დ-200მმ პლასმასის გოფირებული მილებით 348 მ;

ს. უნწაში შიდა საუბნო გზების მონაკვეთების მოხრეშვის და სოფელი წახანი -ქიქინეთი დამაკავშირებელი გზის ნაწილობრივი შეკეთების (მოხრეშვის) სამუშაოები - სოფელ უნწაში მოიხრეშა 450*3 გრ.მ გზა, სოფელ წახანი ქიქინეთის დამაკავშირებელ გზაზე მოიხრეშა 250*3 გრ.მ გზა;

თ. მეფის ქუჩაზე არსებული სანიაღვრე არხის , გვირაბის და მილსისტემის აღდგენა რეაბილიტაცია - პროგრამის ფარგლებში განხორციელდა დაღეჟილი გამაგრებული გრუნტის ამოზიდვა 45მ კუბის ოდენობით გაიწმინდა არსებული 2 ჭა. მეორე ჭას ჩაუტარდა რეაბილიტაცია, მოეწყო 2 ცალი რკინა ბეტონის რგლი დ-1000მმ მონოლითული ძირის და ჩასართველის გათვალისწინებით;

პროგრამის ფარგლებში აგრეთვე განხორციელდა დაბა აბასთუმნის და დაბა ადიგენის შიდა ქუჩების სოფლებთან მისასვლელი გზების თოვლის, ნამქერისა და ყინულის საფარისაგან გაწმენდა.

ბ) კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 02 02)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდა წყლის სისტემების რეაბილიტაცია-ექსპლოატაცია, გარე განათების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია, სარწყავი ახრების, ნაპირსამაგრი ნაგებობების და საგუბრების მშენებლობა რეაბილიტაცია, შენობა

ნაგებობების გამრიცხველიანება. პროგრამის გეგმა განსაზღვრული იყო 1 375,5 ათასი ლარის ოდენობით, ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა - 1 034,1 ათასი ლარი ანუ გეგმის 75,2 %

ბ.ა) წყლის სისტემების რეაბილიტაცია ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი(02 02 01)

ქვეპროგრამის გეგმა განისაზღვრა 311,4 ათასი ლარის ოდენობით ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა - 231,0 ათასი ლარი ანუ გეგმის 74,2%;

ქვეპროექტის ფარგლებში განხორციელდა მუნიციპალიტეტის სოფლების წყლის სათავე-ნაგებობების, რეზერვუარების, შიდა-საუბნო და ცენტრალური ქსელების მოვლა-პატრონობა მ.შ.

ს. ლელოვანის და სამყურის წყალსადენი ქსელის და ს. ღორძის წყალსადენი რეაბილიტაციის მოწყობა- ღონისძიების ფარგლებში სოფელი ლელოვანის წყალსადენი ქსელის მოსაწყობად მოეწყო ახალი პოლიეთილენი დ-63 იანი 16 ატმოსფეროიანი მილი 1210 მ, სოფელი სამყურის წყალსადენი ქსელის მოსაწყობად მოეწყო არსებული პოლიეთილენის მილი დ-50 16 ატმოსფეროიანი - 2955 გრ.მ გზის გადაკვეთებზე მოეწყო ლითონის გადაბმის მილი დ- 89მმ 73მ, აგრეთვე მოეწყო დაერთობის წყლის გამანაწილებელზე 47 ოჯახზე. სოფელი ღორძის წყალსადენის მოსაწყობად მოეწყო არსებული პოლიეთილენის მილი დ-63 მმ 16 ატმოსფერო 400 მ, ამასთან მოხდა ახალი დ-63მმ 16 არტმოსფეროიანი მილის მოწყობა 1222გრ.მ,

შემენილი იქნა სოფელ ადიგენისათვის პოლიეთილენის მილი 900მ დ-90მმ 16 ატმოსფეროიანი, სოფ დიდი სმადისათვის პოლიეთილენის მილი დ-90მმ 16 ატმოსფეროიანი, სოფელი ღორძისათვის 1100მ დ-63მმ 16 ატმოსფერო, სოფელი ქიქინეთისათვის 250მ დ-50მმ 8 ატმოსფეროიანი;

ს. ხარჯამში სასმელი წყლის მაგისტრალური მილსადენის მოწყობის სამუშაოები - ღონისძიების ფარგლებში დამონტაჟდა არსებული პოლიეთილენის მილი დ-63 მმ 10 ატმოსფერო 1525 მ, აგრეთვე მოეწყო არსებული პოლიეთილენის დ-75მმ 10 ატმოსფერო 400 გრ.მ . მოხდა ახალი პოლიეთილენის დ-63მმ 16 ატმოსფეროიანი მონტაჟი 2443 მ, მდინარის გადაკვეთებზე მოეწყო 40 გრ.მ 89*4 ლითონის მილი, აგრეთვე მოეწყო ანაკრები რკინა ბეტონის ჭა დ- 1000მმ 4 ცალი

ს. ადიგენის სასმელი წყლის ქსელის მიმდინარე შეკეთებისთვის საჭირო პოლიეთილენის მილის შესყიდვა-ღონისძიების ფარგლებში შესყიდული იქნა პოლიეთილენის მილი დ-90მმ 20 ატმოსფეროიანი 250გრ.მ;

ბ.ბ) საკანალიზაციო სისტემები (პროგრამული კოდი(02 02 02)

ქვეპროგრამის გეგმა განისაზღვრა 24,5 ათასი ლარის ოდენობით ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა - 23,8 ათასი ლარი ანუ გეგმის 97,2%;

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა დ ადიგენში რუსთაველის ქუჩა N3-ში კანალიზაციის ქსელის მოწყობა კერძოდ: მოხდა არსებული სექტივის რეაბილიტაცია მოეწყო გამყოფი რკინა ბეტონის კედელი, მოხდა გადახურვის არმირებული ფენის მოწყობა ზომით 4.5*4.7, მოეწყო კანალიზაციის გოფირებული მილები დ-200მმ 59გრ.მ დამონტაჟდა ახალი ანაკრები რკინა ბეტონის ჭა დ-1000მმ 2 ცალი. აგრეთვე ს.უდემი საკანალიზაციო ქსელისათვის საჭირო მილების და გადასაბმელების შესყიდვა - შეძენილი იქნა 312 გრ.მ დ-200მმ პლასმასის გოფირებული მილი და ჰერმეტიკული შუასადები რეზინი 52 ცალი;

ბ.გ) ა(ა)იპ ადიგენის წყალმომარაგება (პროგრამული კოდი(02 02 03) ქვეპროგრამის გეგმა გათვალისწინებული იყო 296,4 ათასი ლარი ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა 289,2 ათასი ლარი ანუ გეგმის - 97,6 %. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა: სასმელი წყლის ცენტრალურ მაგისტრალზე სარეაბილიტაციო სამუშაოები, დაზიანებული ადგილების შეცვლა, წყალსატუმბ სადგურებზე ფიდერის ეკალ ბარდისაგან გაწმენდა -გასუფთავება, სარწყავი წყლის გამსვლელი მილების მონტაჟი, სასმელი წყლის სათავე- ნაგებობების გარეცხვა გაწმენდა და რეაბილიტაცია, წყალსატუმბ სადგურებზე, წყალსატუმბი ნასოსებისა და მოტორების დემონტაჟი და მონტაჟი, სასმელი სწყლის მაგისტრალის საუბნო განშტოებების რეაბილიტაცია.

ბ.დ) გარე განათების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი(02 02 04)

ქვეპროგრამის გეგმა გათვალისწინებული იყო 445,1 ათასი ლარი ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა 379,7 ათასი ლარი ანუ გეგმის - 85,3 %. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა:

ს. ზემო ენთელში გარე განათების ქსელის მოწყობა- პროგრამის ფარგლებში სოფელ ზემო ენთელი მოეწყო 4 ცალი ახალი გარე განათების ბოძი, ლედ ნათურებით, სოფელ ნამინაურში მოეწყო 25 ცალი ახალი გარე განათების ბოძი ლედ ნათურებით.

აგრეთვე აღნიშნული ქვეპროგრამიდან ხორციელდება გარე განათების ქსელის მიერ მოხმარებული ელექტორ ენერჯის ღირებულების დაფარვა და გარე განათების ქსელის მომსახურების ღირებულების დაფარვა.

ბ.ე) სარწყავი არხების, ნაპირსამაგრი ნაგებობების და საგუბრების მშენებლობა რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი(02 02 05)

ქვეპროგრამის გეგმა გათვალისწინებული იყო 236,1 ათასი ლარი ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა 94,9 ათასი ლარი ანუ გეგმის - 40,2 %. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა:

სოფ. პატარა და დიდი სმადის სარწყავი წყლის ქსელის რეაბილიტაციისათვის პოლიეთილენის მილების, მილტუჩების, სამკაპების და გადამყვანების შესყიდვა - შეძენილი იქნა პოლიეთილენის დ-160მმ 12.5 ატმოსფერო 1035 გრ.მ მილი თავისი

აქსესუარებით; სოფ. პატარა დიდი სმადის სარწყავი წყლის ქსელის რეაბილიტაციისათვის ურდულების შესყიდვა - შევისყიდეთ თუჯის დ-150მმ იანი 8 ცალი ურდული, აგრეთვე შეძენილი იქნა სოფ ბოლაჯურის სარწყავი წყლისათვის დ-400მმ გოფირებული მილი 50 გრ.მ.

სატუმბი სადგურის შენობის დემონტაჟის სამუშაოები - მოხდა უდე-ფხეროს სატუმბი სადგურის ავარიული შენობის დემონტაჟი, სალი რკინა ბეტონის ფილები და ორტისებრი კოჭები დასაწყობდა.

აგრეთვე აღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში უნდა განხორციელებულიყო სოფელ ბოლაჯურში სარწყავი წყლის საგუბრის გამაგრებითი სამუშაოების შესყიდვ, თუმცა გამოცხადებული ტენდერი რამდენჯერმე არ შედგა, შესაბამისად პროგრამის მიხედვით დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის შეუსაბამობა აღემატება 30%.

ბ.ვ) სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებები (პროგრამული კოდი (02 02 06)

აღნიშნულ ქვეპროგრამაზე გეგმა განსაზღვრული იყო 20,0 ათასი ლარით თუმცა ხარჯვა არ განხორციელებულია აღნიშნულ პროგრამულ კოდზე გათვალისწინებული იყო სტიქიური მოვლენების შედეგების ლიკვიდაციისას ადიგენის მუნიციპალიტეტში შემავალი საავტომობილო გზების მიმდინარე შეკეთებასთან დაკავშირებული სამუშაოები, ვინაიდან 2022 წელს არ დადგა აღნიშნული ღონისძიებების განხორციელების აუცილებლობა, შესაბამისად პროგრამის მიხედვით დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის შეუსაბამობა აღემატება 30%.

ბ.ზ) შენობა ნაგებობების გამრიცხველიანება (პროგრამული კოდი (02 02 07)

ქვეპროგრამის გეგმა გათვალისწინებული იყო 42,0 ათასი ლარი ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა 15,5 ათასი ლარი ანუ გეგმის - 36,9 %.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა სხვადასხვა შენობა ნაგებობების ელექტროენერჯის ქსელზე დაერთება, ბუნებრივი აირის გამანაწილებელ ქსელზე დაერთება,

გ) მუნიციპალტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 02 03)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდა საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების შეკეთება, გამაგრება, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციისა და საკადასტრო აზომვითი ნახაზების შედგენის, საექსპერტო მომსახურების და საპროექტო დოკუმენტაციის და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა, და მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სხვადასხვა ინფრასტრუქტურული ღონისძიებები. პროგრამის გეგმა განსაზღვრული იყო 2 497,7 ათასი ლარის ოდენობით, ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა - 1 796,4 ათასი ლარი ანუ გეგმის 71,9 %

გ.ა) საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების შეკეთება, გამაგრება (პროგრამული კოდი (02 03 01).

ქვეპროგრამის გეგმა გათვალისწინებული იყო 1 148,8 ათასი ლარი ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა 673,9 ათასი ლარი ანუ გეგმის - 58,9 %. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა:

მერიის პირველი ადმინისტრაციული შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოები - პროექტის ფარგლებში მოხდა კედლები, იატაკის ჭერის კიბეების გათბობა გაყვანილობის, სანტექნიკის ელექტროობის კომპიუტერული ვიდეო-მეთვალყურეობის შიდა ქსელების და სახანძრო სიგნალიზაციის სარეაბილიტაციო სამუშაოები;

ს. დიდი ზანავში მდებარე ადმინისტრაციული შენობის რეაბილიტაცია - პროექტის ფარგლებში რეაბილიტაცია ჩატარდა 254 კვ.მ შენობის ფართს, შეიცვალა ფანჯრები, იატაკი, მოეწყო თაბაშირ მუყაოს ჭერი, მოეწყო ახალი ტიხრები, შეიცვალა კარები, მოეწყო ელექტროგაყვანილობა, შესასვლელის გადახურვა მოხდა ლითონის კონსტრუქციებით, აგრეთვე მოეწყო სარინები, რეაბილიტაცია ჩატარდა ფასადს.

დაბა ადიგენში ბალახაშვილის ქვ-ში არსებული საცხოვრებელი კორპუსის რეაბილიტაციის სამუშაოები - პროექტის ფარგლებში შეიცვალა სახურავის წყალშემკრები და წყალსაშვი სისტემები, გაილესა შეიღება ფასადის კედლები 598 კვმ, შენობის გარშემო მოეწყო სარინები ბაზალტის ბორდიურებით.

სოფ. ბოლაჯურში სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების შენობის სახურავის რეაბილიტაცია - შეიცვალა დაზიანებული ძველი სახურავი 565კვმ ზე ახალი ფერადი პროფირლირებული თუნუქით, თავისი წყალშემკრებიებით და წყალსაშვი სისტემით.

დ. ადიგენში რუსთაველის ქ. N3-ში მდებარე მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსის რეაბილიტაცია - მოხდა ფასადის კედლების გალესვა და შეღებვა 364კვმ-ზე შეიღება არსებული ხის ფანჯრები, დამონტაჟდა წყალმიმღები ძაბრები და წყალგამტარი მილები, მოეწყო სარინელი ბაზალტის ბორდიურებით;

მერიის პირველი ადმინისტრაციული შენობის საკანალიზაციო ქსელის რეაბილიტაცია - პროექტის ფარგლებში მოხდა ახალი გოფირებული დ-200მმ მილებით კანალიზაციის ქსელის მოწყობა 35 გრ.მ დამონტაჟდა 2 სათვალთავლო რკინა ბეტონის ჭა და მოეწყო ახალი რკინა ბეტონის წყალმიმღები გადახურვის ფილით.

მერიის პირველ ადმინისტრაციულ შენობაში საპირფარეოს სარემონტო სამუშაოები - შეიცვალა მეტლახის იატაკის ფილები 5.3 კვ.მ დამონტაჟდა ახალი ჩაშები, შეიცვალა ელექტრო გაყვანილობა და სანათები, დამონტაჟდა ახალი ხელსაბანები.

მერიის N1 ადმინისტრაციული შენობის გათბობის სისტემისათვის ტექნიკური მომსახურების გაწევა - მომსახურების ფარგლებში მოეწყო არსებული 81 ცალი გათბობის რადიატორი შეიცვალა დაზიანებული აქსესუარები, ჩაიტუმბა ცინვაგამძლე სითხე სისტემაში;

აღნიშნული პროგრამიდან აგრეთვე ხორციელდება საცხოვრებელი მრავალბინიანი კორპუსების მ.შ. დაბა ადიგენში ზაზაშვილის ქუჩა 28-ში მდებარე 24 ბინიანი საცხოვრებელი სახლი, დაბა ადიგენში ზაზაშვილი 34-ში მდებარე 24 ბინიანის, დაბა ადიგენში ზაზაშვილის 30-ში მდებარე 40 ბინიანის და დაბა ადიგენში ზაზაშვილის 32-ში მდებარე 60 ბინიანის რეაბილიტაცია, აღნიშნული კორპუსების სამუშაოების დასრულების თარიღა გადადის 2023 წელს შესაბამისად საკასო შესრულება ვერ მოხდა 2022 წელ და პროგრამის მიხედვით დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდით თანხებს შორის შეუსაბამობა აღემატება 30%.

გ.ბ) საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციისა და საკადასტრო აზომვითი ნახაზების შედგენის, საექსპერტო მომსახურების და საპროექტო დოკუმენტაციის და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის ხარჯი (პროგრამული კოდი (02 03 02).

ქვეპროგრამის გეგმა გათვალისწინებული იყო 395,7 ათასი ლარი ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა 294,3 ათასი ლარი ანუ გეგმის - 74,4 %. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა: ადიგენის მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული 50 000 ლარზე მეტი ღირებულების ინფრასტრუქტურული ობიექტების სამშენებლო სამუშაოებზე საზედამხედველო მომსახურების გაწევა. აგრეთვე საკადასტრო აზომვითი ნახაზების მომზადების დაფინანსება და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის და საექსპერტო მომსახურების ხარჯის დაფინანსება.

გ.ბ) მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სხვადასხვა ინფრასტრუქტურული ღონისძიებები (პროგრამული კოდი (02 03 03).

ქვეპროგრამის გეგმა გათვალისწინებული იყო 953,3 ათასი ლარი ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა 825,4 ათასი ლარი ანუ გეგმის - 86,6 %. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა:

ანდრია პირველწოდებულის სტელის მოწყობის მიზნით საყრდენი კედლების, კიბეების და მოედნის მოწყობის სამუშაოები - პროექტის ფარგლებში მოეწყო მონოლითური რკინა ბეტონის სვეტები, რკინა ბეტონის კედელი, რკინა ბეტონის კიბეები, კონსტრუქცია შეიკრა რკინა ბეტონის არმირებული ფილით 147 კვ.მ რომელიც მოპირკეთდა ბაზალტის ფილებით, მოხდა სივრცით შემოღობვა დეკორატიული მოაჯირით, დამონტაჟდა გარე განათების ლამპიონები.

დ.ადიგენში სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების ეზოში გასართობი მოედნის მოწყობა -პროექტის ფარგლებში 208კვ.მ-ზე მოეწყო რკინა ბეტონის არმირებული ფილა და კაუჩუკის ფილები ბორდიურებით, მოეწყო ფანჩატური ლითონის მილკვადრატებით, რომელშიც დაონტაჟდა მაგიდა და სკამები, პერიმეტრზე დამონტაჟდა სხვადასხვა სახის ატრაქციონები

დ. ადიგენში ცენტრალური სკვერის მიმდებარედ საზოგადოებრივი ტუალეტის რეაბილიტაცია - პროექტის ფარგლებში შეიცვალა დაზიანებული მილგაყვანილობა, წყალგაყვანილობა შეიცვალა უნიტაზები, ხელსაბანები, შეიცვალა დაზიანებული მეტალო პლასტმასის კარები, მოხდა დაზიანებული მეტლახის ფილების და ჭების შეცვლა, დამუშავდა გარე ფასადი ცემენტის ხსნარით, და შემდგომში შეიღება მინხენთ.

სოფლებში მოხე, მლაშე, ფხერო და სოფელ ადიგენში მოეწყო ხელოვნურსაფარიანი მინი მოედანი ზომით 12*24-ზე ლითონის ღობის კონსტრუქციით და გარე განათებით.

ფანჩატურების მოწყობის სამუშაოები (კახარეთი, ვარხანი, შოშხოთი) - პროექტის ფარგლებში კახარეთში შოშხოთში და ვარხანში მოეწყო იდენტური ზომის 2.4*3.4-ზე ლითონის კარკასისაგან შემდგარი საჩრდილობელები (ფანჩატურები) ძირზე მოეწყო რკინა ბეტონის ფილა 2.5*3 ზე, რაც შეეხება შოშხოთს ტერიტორიაზე ფანჩატურს მოეწყო რკინა ბეტონის ფილა 52 კვ.მ ზე, აგრეთვე მოეწყო რკინა ბეტონის საყრდენი კედელი.

ს. პატარა ზანავში საბავშვო ატრაქციონების მოწყობა- მოეწყო რკინა ბეტონის არმირებული ფილა 70კვმ ზე რომელზე დაიგო კაუჩუკის ფილები ტავის ბორდიურებით, სივრცეში მოეწყო სხვადასხვა კომპლექტაციის ატრაქციონები.

დ) სოფლის მხარდაჭერის პროგრამა (პროგრამული კოდი 02 04) სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის სოფლებში განხორციელდა სხვადასხვა სახის მცირე ინფრასტრუქტურული პროექტები მათ შორის მოეწყო 213 გარე განათების ბოძი; რეაბილიტირდა და მოეწყო 270 მ სარწყავი არხის სისტემა; შესყიდული იქნა სხვადასხვა დიამეტრის 3270მ სარწყავი მილი, რეაბილიტირდა და მოეწყო 4386 მ სასმელი წყლის სისტემა; მოიხრეშა 4092 მ სოფლის შიდა გზები; დაიგო 937 მ ბეტონის გზა, სოფელ ჭეჭლაში და სოფელ აფიეთში დამონტაჟდა 2 ცალი 9 კვ/სთ წარმადობის წისქვილი სხვადასხვა ფრაქციების საფქვავად. სოფლებში ჯამში შემოიღობა 960 გრ.მ მავთულის ღობით სასაფლაოები; დაბა აბასთუმანსა და სოფელ ამხერში მოეწყო თითოეულზე 70 კვ.მ რკინა ბეტონის ფილა კაუჩუკის ფილებით, კაუჩუკის ბორდიურებით, სივრცე შეუვსო სხვადასხვა სახის გასართობი ატრაქციონებით, სოფელ პატარა სმადში მოეწყო სკვერი, მოხდა ტერიტორიის შემოღობვა 376 კვ.მ -ზე, რკინა ბეტონის კედლებით, ფლეთილი ქვით, ლითონის კონსტრუქციებით. სოფელ ვარხანსა და ხევამენს შორის არსებულ პაჭოს წყაროს მიმდებარედ მოეწყო სკვერი. გარდა ამისა განხორციელდა სხვადასხვა მცირე პროექტები.

ე) უმეტვალყურედ დარჩენილ ძაღლთა პოპულაცია ქვეპროგრამის გეგმა განსაზღვრული იყო 8,0 ათასი ლარი ფაქტიურად გახარჯულია 7,9 ათასი არი ანუ გეგმის 99,1 %; პროგრამით განხორციელდა 61 უპატრონო და მიუსაფარი ძაღლის გადაყვანა თავშესაფარში.

3. დასუფთავება და გარემოს დაცვა (პროგრამული კოდი 03 00)

დასუფთავების და გარემოს დაცვა საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 705,0 ათასი ლარით, რაც გეგმის 95,4 პროცენტია. პროგრამის ფარგლებში განხორციელდა დ.ადიგენისა და კურორტ აბასთუმნის ქუჩებისა და ტროტურების ასევე სოფლებში არსებული სკვერებისა და მიმდებარე ტერიტორიების რეკრეაციული ზონების, გზის

პირების დაგვა-დასუფთავება;ნარჩენების შეგროვება და დროული გატანა.დ.ადიგენში არსებული ადმინისტრაციული შენობების დალაგება; სანიაღვრე არხების წმენდა;მუნიციპალიტეტის მასშტაბით არსებული ნაგავსაყრელების აღმოჩენა,აღრიცხვა და შემდგომ დახურვა, ადიგენის მუნიციპალიტეტის მერიის ბალანსზე არსებული ავტომანქანების რეცხვა, ადმინისტრაციული შენობებისა და თავშეყრის ადგილების ასევე სანაგვე ურნებზე სადეზინფექციო სამუშაოების ჩატარება.,უფასოდ სატრანსპორტო მომსახურეობის განხორციელება მგზავრთა უსაფრთხო გადაყვანის მიზნით.

4. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

საგანმანათლებლო ღონისძიებები 2022 წლის განმავლობაში დაფინანსდა 1 225.6 ათასი ლარის ოდენობით, რაც გეგმის - 1 320.7 ათასი ლარი, 92.8 პროცენტია. აღნიშნული თანხებიდან სკოლამდელი აღზრდის დაფინანსებაზე მიმართული იქნა 933.5 ათასი ლარი, საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირებით უზრუნველყოფა დაფინანსდა (დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში) 238.3 ათასი ლარით, საჯარო სკოლების მცირედი სარეაბილიტაციო სამუშაოების უზრუნველყოფა დაფინანსდა - 53.8 ათასი ლარით.

ა) სკოლამდელი განათლება (პროგრამული კოდი 04 01) პროგრამით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად 2022 წელს განმავლობაში განხორციელდა შემდეგი სახის პროექტი:

შეუფერხებლად მიმდინარეობა ადმინისტრაციული საქმიანობა.

ა) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ 11 საბავშვო ბაღში 2022 წელის მდგომარეობით განხორციელდა 499 ბავშვის სწავლება.

ბ) საბავშვო ბაღებში დაინერგა კვების ახალი სტანდარტები, რომელიც შეესაბამება „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში კვების ორგანიზებისა და რაციონის კვებითი ღირებულებების ტექნიკურ რეგლამენტთან“. ჩატარდა მიწოდებული კვების პროდუქტების გეგმიური შემოწმებები.

გ) დაიგეგმა და განხორციელდა HAASP-ის პროგრამა.

დ) სტანდარტების შესაბამისად ნაწილობრივ არის მოწყობილი საბავშვო ბაღების ინფრასტრუქტურა და ეზოების კეთილმოწყობა , ასევე ბაღები აღიჭურვა ინვენტარიტატით და სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო რესურსებით.

ე) ბავშვების ტრანსპორტირება ხდება საბავშვო ბაღების მიმდებარე სოფლებიდან.

ვ)საბავშვო ბაღის 40პერსონალს ჩაუტარდა ტრენინგ-სწავლება „ადრეული ინკლუზიური განათლება“

ბ) საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირებით უზრუნველყოფა დაფინანსება (პროგრამული კოდი 04 03)

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა საჯარო სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტირება საანგარიშგებო წლის განმავლობაში (დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში), რითაც უზრუნველყოფილი იქნა მოსწავლეთა სხვადასხვა სოფლიდან ტრანსპორტირება საჯარო სკოლაში.

გ) საჯარო სკოლების მცირედი სარეაბილიტაციო სამუშაოების უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 04 04)

ქვეპროგრამის გეგმა განსაზღვრული 138,9 ათასი ლარი ფაქტიურად გახარჯულია 53,8 ათასი ანუ გეგმის 38,7%; ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა სოფელ ქვემო ენთელის საჯარო სკოლის საპირფარეოს და სექტიკის მოწყობა, აღნიშნული პროექტი არის მრავალწლიანი შესაბამისად ნაწილის სამუშაოების ანაზღაურება განხორციელდა 2023 წელს რის გამოც შესრლება ნაკლებია 2022 წელს.

5) კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)

კულტურა ახალგაზრდობა და სპორტის ღონისძიებებზე გაწეული იქნა 1 419,1 ათასი ლარი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1 505,7 ათასი ლარისა, ანუ გეგმის 94,3 პროცენტი. აღნიშნულის სახსრებიდან სპორტის განვითარებას მოხმარდა 243,1 ათასი ლარი, კულტურის განვითარებას - 286,4 ათასი ლარი, საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელშეწყობა - 374,6 ათასი ლარი, ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვისა და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა - 500,0 ათასი ლარი. ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა - 15,0 ათასი ლარი.

ა) სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)

